

0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION

Nihil sub Sole Novum /არაფერია მზის ქვეშ ახალი
Marcus Fabius Quintilianus

ქეთევან ფუტკარაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University
E-mail: Putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

რეზიუმე

პირველი საუკუნის მიწურულს რომაელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა ტრაქტატი სახელწოდებით Institutio Oratoria, რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „მჭევრმეტყველების სწავლება“. ნაწარმოები კვინტილიანუსმა დაწერა იმ მიზნით, რომ შეექმნა ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად, მჭევრმეტყველის იდეალური მოდელი, რომელიც, რომელიც ავტორის მიხედვით, თავის თავში გულისხმობს შესანიშნავ ორატორს და კიდევ უფრო კარგ, პატიოსან პიროვნებას, რაც, კვინტილიანუსის მიხედვით, ასე ჟღერს: Vir bonus, dicendi peritus - კარგი კაცია, კარგად ლაპარაკობს. როდესაც ნაშრომს ეცნობი, ხვდები, რამდენი რამე უნდა ისწავლო, რომ იყო კარგი ადამიანი და რამდენი კიდევ დაამატო, რომ გახდე კარგი ორატორი, ანუ თავს უფლება მისცე, საჯაროდ ესაუბრო ადამიანებს. ფაქტობრივად, წიგნი მჭევრმეტყველებაზე კი არა, უფრო სწორად, არა მხოლოდ მჭევრმეტყველებაზე, არამედ განათლებასა და კარგი მოქალაქის აღზრდაზეა, განათლების და აღზრდის საკითხები კი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ტიპის საზოგადოებაში აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

“როცა მე ამ მძიმე შრომას შევუდექი, ვერ გეტყვით, მქონდა თუ არა წარმოდგენილი მთელი ის სირთულე, რასაც ახლა ვგრძნობ. მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ ამ ტვირთის აღება საკუთარ თავზე შემეძლებოდა. თუმცა, დასაწყისშივე კარგად მქონდა გააზრებული, რომ რასაც შეგპირდით, ის ვალდებულება უნდა შემესრულებინა. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შრომა ყოველ ეტაპზე უფრო და უფრო რთულდებოდა, გადავწყვიტე, ყველა დაბრკოლებისთვის გამეძლო და არ მეფიქრა, რომ უაზრობაა ის, რასაც შევეჩიდე (მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი. “მჭევრმეტყველების სწავლება“. წიგნი 12, თავი 1. სტრიქონები 1-9).

პირველი საუკუნის მიწურულს რომაელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა ტრაქტატი სახელწოდებით Institutio Oratoria, რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „მჭევრმეტყველების სწავლება“. ნაწარმოები კვინტილიანუსმა დაწერა იმ მიზნით, რომ შეექმნა ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად, მჭევრმეტყველის იდეალური მოდელი, რომელიც, რომელიც ავტორის მიხედვით, თავის თავში გულისხმობს შესანიშნავ ორატორს და კიდევ უფრო კარგ, პატიოსან პიროვნებას, რაც, კვინტილიანუსის მიხედვით, ასე ჟღერს: Vir bonus, dicendi peritus - კარგი კაცია, კარგად ლაპარაკობს. როდესაც ნაშრომს ეცნობი, ხვდები, რამდენი რამე უნდა ისწავლო, რომ იყო კარგი ადამიანი და რამდენი კიდევ დაამატო, რომ გახდე კარგი ორატორი, ანუ თავს უფლება მისცე, საჯაროდ ესაუბრო ადამიანებს. ფაქტობრივად, წიგნი მჭევრმეტყველებაზე კი არა, უფრო სწორად, არა მხოლოდ მჭევრმეტყველებაზე, არამედ განათლებასა და კარგი მოქალაქის აღზრდაზეა, განათლების და აღზრდის საკითხები კი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ტიპის საზოგადოებაში აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

ვინ იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი?

საჭიროდ ჩავთვალით, რომელიც ავტორის ბიოგრაფიული მომენტების მაქსიმალურად სრული ვერსია მოგვეწოდებინა. მოვიძიეთ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეპიზოდები კვინტილიანუსის ცხოვრებიდან, მით უმეტეს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მასზე ბევრი არაფერია ცნობილი.

კვინტილიანუსს ხშირად ახსენებდნენ ანტიკური ეპოქის ავტორები. მაგალითად, სვეტონიუსმა, მისი გარდაცვალებიდან მალევე, მიუძღვნა ერთი თავი ტრაქტატში De Illustribus Grammaticis და De Claris Rhetoribus, როგორც ეს ჩანს ამ ტრაქტატის რამდენიმე ხელნაწერის ინდექსში. ეს თავი დაკარგულია, მაგრამ იგი გამოიყენა იერონიმემ, რომლის „ქრონიკები“ შეიცავს ორ მნიშვნელოვან და

საკმაოდ საკამათო ტესტიმონიას კვინტილიანუსის ცხოვრების შესახებ.

რენესანსის დროს, როცა 1416 წელს ხელახლა აღმოაჩინეს კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელიც მაშინვე აღიარეს ერთ-ერთ გავლენიან ნაშრომად, გაიზარდა მისი ავტორისადმი ინტერესი. ნაშრომი იმდენად ეფექტური იყო, რომ მაშინვე დაიწყეს მისი შემქმნელის ცხოვრების შესწავლა, უფრო მეტიც, პარალელურად, დაიწყეს მისი ცხოვრებისეული მომენტების რომანტიზირება.

მე-15 საუკუნის დასასრულიდან ნაპოვნია პირველი მცდელობები, შეეთავსებინათ ანტიკური ეპოქის ბიოგრაფიული ტესტიმონიები (Schanz 1913: 453) და თავად კვინტილიანუსის ავტობიოგრაფიული ჩანართები „მჭევრმეტყველების სწავლებიდან“, ასევე ინფორმაციები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან (Garin 1952: 870–885; Schönberger 2011: 101–104), რომლებიც აისახა ანონიმურად, ერთ ფურცელზე დაბეჭდილ მოკლე ბიოგრაფიაში, 1494 წლის ერთ-ერთ ვენეციურ გამოცემაში.

კვინტილიანუსის ამ ბიოგრაფიის ავტორობა საკმაოდ საკამათო იყო საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ 2015 წლიდან უკვე ცნობილია, რომ იგი ეკუთვნის ლორენცო ვალას, პომპონიუს ლეტუსის დამატებებით (იხ.: Stok 2015). ცოტა უფრო ადრე, მემატთანე ჯაკომო ფილიპო ფორესტიმ დაწერა მოკლე შენიშვნები თავის ნაწარმოებში *Supplementum chronicarum* (Bergomensis 1485:150), რომ კვინტილიანუსი იყო გამოჩენილი ადამიანი ნერონის მეფობის დროს. ორივე ბიოგრაფია რამდენჯერმე გამოიცა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე (Poliziano. *Opera* of 1536, ed. Burman and Lemaire, vol. 7; Valla. *Biography*, Paris 1538; Leiden 1665; Burman's edition; Rollin's abridged edition of 1715; and Lemaire's edition, vol. 7).

XVII საუკუნის ბოლოს, კვინტილიანუსის პირველი ყოვლისმომცველი და დეტალური ბიოგრაფია გამოქვეყნდა ათ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში: 22-ე თავში დომიტიანუსის შესახებ ტილემონის *რომის იმპერატორების ისტორიაში* (Tillemont 1691: 113–115, 540); ნიკოლაუს ანტონიოს მიერ (დ. 1684) მის ესპანურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში იმპერატორ ავგუსტუსიდან 1500 წლამდე, რომელიც გამოქვეყნდა 1696 წელს (Antonio 1696: 1.12.52–61), და ჰენრი დოდველის *Annales Quintilianeae*, რომელიც გამოქვეყნდა ანტონიოს ნაშრომიდან ორი წლის შემდეგ, მაგრამ, როგორც სჩანს, მისგან დამოუკიდებლად დაიწერა (Dodwell 1698, გადაბეჭდილი Lemaire-ში 1825: 139–265).

დოდველის *Annales Quintilianeae* გვთავაზობს მწერლის დეტალურ ბიოგრაფიას წლების მიხედვით. ნაშრომი ტოვებს ფაქტებში ზედმეტად დარწმუნებულობის შთაბეჭდილებას, მოვლენებისათვის კონკრეტული თარიღების მინიჭებისას კვინტილიანუსის ცხოვრებიდან. დოდველის შემდეგ, არაერთი მეცნიერი, ძირითადად, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა კვინტილიანუსის ბიოგრაფიის შესწავლაში, მაგრამ არავის გაუკეთებია წყაროებისა და მითითებების ფუნდამენტურად ახალი ინტერპრეტაციები.

მეთვრამეტე საუკუნეში პიერ ბეილმა დაწერა მოკლე ლემა კვინტილიანუსის ცხოვრების შესახებ დეტალური შენიშვნებით (1702). ჩარლზ როლინმა დაბეჭდა კვინტილიანუსის მოკლე ბიოგრაფია 1715 წლის ანთოლოგიაში. ნიკოლა ჟედუანი „მჭევრმეტყველების სწავლების“ თარგმანის წინასიტყვაობაში (1718), იძლევა კვინტილიანუსის ბიოგრაფიის მცირე მონახაზს, რომელშიც იგი რომაელს წარმოაჩენს პატივცემულ მასწავლებელად და სახელმწიფო ხელფასის ბენეფიციარად, რომელმაც აღადგინა მჭევრმეტყველების დიდება. გერმანიაში იოჰან მათიას გესნერმა წარმოადგინა კვინტილიანუსის ცხოვრების სრული და კარგად დოკუმენტირებული გამოკვლევა, რომელიც, ძირითადად, დოდველის ინფორმაციას ეყრდნობოდა (1738).

მეცხრამეტე საუკუნეში ფრიდრიხ მიულერმა გამოაქვეყნა თავისი კვლევის შედეგები კვინტილიანუსის ბიოგრაფიაზე, რომელიც მან აიღო, როგორც შესავალი კურსი „მჭევრმეტყველების სწავლების“ (Müller 1840). ე. ჰამელმა დაამუშავა ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ინფორმაციები (Hummel 1843) და ჰამელის პასუხად, დრაიხენმა სასკოლო კურიკულუმის შესავალი ნარკვევი მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება „მჭევრმეტყველების სწავლების“ გაცნობისას (Driesen 1845).

გარდა ამისა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების სხვადასხვა გამოცემების შესავალი შეიცავს დისკუსიებს მრავალ საკითხზე კვინტილიანუსის ბიოგრაფიიდან (Dosson 1884: 5-17; Peterson 1891: 1-13; Colson 1924: 9-20). 1931 წელს ქაზანმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც განიხილავდა აზრთა სხვადასხვაობას კვინტილიანუსის დაბადების ადგილსა და დროსთან დაკავშირებით, მისი ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღთან და ტრაქტატზე მუშაობის დაწყების თარიღთან დაკავშირებით (Cousin 1931). არსებობს კვინტილიანუსზე ბიოგრაფიული ტრადიცია ბატლერის და რასელის Loeb-გამოცემებიდან; კლარკის 1967 წლის ბიოგრაფიული ჩანახატი (Clarke 1967) და კენედის მონოგრაფიის პირველი თავი კვინტილიანუსის შესახებ (Kennedy 1969, შესწორებული გამოცემა 2013), რომლებიც გვაწოდებს მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ განხილვებს კვინტილიანუსისა ცხოვრების შესახებ. McDermott and Orentzel 1979 მოიცავს მოკლე ინფორმაციას კვინტილიანუსის ბიოგრაფიის დომიტიანუსთან ურთიერთობის კვლევის კონტექსტში.

კოლსონი შენიშნავს, რომ არაჩვეულებრივი რაოდენობის საეჭვო ან თუნდაც დაუსაბუთებელი განცხადებები გაკეთდა სხვადასხვა მწერლების მიერ კვინტილიანუსის ცხოვრების თემაზე (Colson 1924: 9 n. 1). კვინტილიანუსის ცხოვრებისა ამბის დადგენის მცდელობები ამის შემდეგაც კარგა ხანს გრძელდებოდა.

როდის დაიბადა და როგორი განათლება მიიღო განათლებაზე ტრაქტატის ავტორმა?
კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლებაში“ ნათლად ჩანს იმ ორატორების შესახებ, რომლებიც აქტიურობდნენ რომში პირველი საუკუნის შუა ხანებში, განსაკუთრებით, სერვილიუსი (დ. 60; 10.1.102), გალერიუსი, ტრახალუსი (6.3.78, 8.5.19, 10.1.119, 12.5.5, 10.11), ვიბიუს კრისპუსი (10.1.119, 12.10.11), იულიუს სეკუნდუსი (10.1.120, 12.10.11), იულიუს აფრიკანუსი (10.1.118) და აგრეთვე, დომიტიანუსი (დ. 59/60; 10.1.118 და მრავალი სხვა ადგილი).

რომმა დიდი წვლილი შეიტანა კვინტილიანუსის ორატორად ჩამოყალიბებაში, თუმცა, არ ვიცით, მიიღო თუ არა მან განათლება სრულად რომში. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, გესნერი (1738:7), მართებულად მიიჩნევს იუვენალისის სქოლიასტის შენიშვნას - სქოლიო 6.452 (Gesner 1931:102), სადაც აღნიშნულია, რომ კვინტილიანუსი იყო მოსწავლე გრამატიკოს რემიუს პალემონის, რომელიც მოღვაწეობდა რომში ტიბერიუსის და კლავდიუსის მმართველობის დროს, რადგან თავად კვინტილიანუსი ახსენებს ამ გრამატიკოსს (1.4.20).

ჰამელმა (1843: 13-14) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კვინტილიანუსი ახსენებს პალემონს მხოლოდ წარსულში და რომ თავად პალემონი საკმათო ფიგურა იყო (Suet. Gram. 23). ჰამელის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კვინტილიანუსი თავისივე სკოლაში სწავლობდა. იგი ფიქრობს, რომ კვინტილიანუსი არცერთს არ ახსენებს მისი ცნობილი მასწავლებლებიდან. მან, შესაძლოა, განათლება მიიღო მასწავლებლებისგან, რომლებიც უცნობი იყვნენ რომში (Hummel 1843: 14).

ანალოგიურად, კოლსონი (Colson 1924: 11-13) წერს, რომ კვინტილიანუსის მოკლე შენიშვნები საკუთარი განათლების შესახებ (1.2.23 და 2.4.26, იმის შესახებ, რომ მასწავლებლები ანაწილებდნენ მოსწავლეებს კლასებში და ამზადებდნენ მათ; 1.7.26, 27, სიტყვების მართლწერის შესახებ; 1.10.39, მისი გაკვეთილების შესახებ გეომეტრიაში; 1.2.2, დაახლოებით თავის კლასში დეკლამაციური სავარჯიშოების ორგანიზების შესახებ) უნდა ამტკიცებდეს იმას, რომ მომავალმა ორატორმა დაწყებითი განათლება მიიღო რომში. ამრიგად, მკვლევარმა ღიად დატოვა შეკითხვა, სად გაატარა კვინტილიანუსმა ადრეული ასაკი. ეს კითხვა მჭიდროდ არის დაკავშირებული კითხვასთან - სად დაიბადა კვინტილიანუსი.

ნაკლებად სავარაუდოა, დღეს ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ კვინტილიანუსი დაიბადა კალაჰორაში (Calahorra), ესპანეთში, მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში კვინტილიანუსის დაბადების ადგილი იყო კამათის საგანი, რადგან არსებული ინფორმაციები არ იძლეოდა დამაჯერებელ პასუხს ამის შესახებ.

ზოგიერთი ადრეული ბიოგრაფოსი, დაწყებული მემატიანე ჯაკომო ფილიპო Hummel 1843) და ჰამელის პასუხად, დრახენმა სასკოლო კურიკულუმის შესავალი ნარკვევი მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება „მჭევრმეტყველების სწავლების“ გაცნობისას (Driesen 1845).

გარდა ამისა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების სხვადასხვა გამოცემების შესავალი შეიცავს დისკუსიებს მრავალ საკითხზე კვინტილიანუსის ბიოგრაფიიდან (Dosson 1884: 5-17; Peterson 1891: 1-13; Colson 1924: 9-20). 1931 წელს ქაზანმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც განიხილავდა აზრთა სხვადასხვაობას კვინტილიანუსის დაბადების ადგილსა და დროსთან დაკავშირებით, მისი ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღთან და ტრაქტატზე მუშაობის დაწყების თარიღთან

დაკავშირებით (Cousin 1931). არსებობს კვინტილიანუსზე ბიოგრაფიული ტრადიცია ბატლერის და რასელის Loeb-გამოცემებიდან; კლარკის 1967 წლის ბიოგრაფიული ჩანახატი (Clarke 1967) და კენედის მონოგრაფიის პირველი თავი კვინტილიანუსის შესახებ (Kennedy 1969, შესწორებული გამოცემა 2013), რომლებიც გვაწოდებს მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ განხილვებს კვინტილიანუსისა ცხოვრების შესახებ. კვინტილიანუსი დაიბადა კალაგურისში (Calagurris). ეს დაშვება ეფუძნება ორ ჩვენებას: 1. იერონიმეს შენიშვნას ახ. წ. 88 წელს მისსავე „ქრონიკებში“, სადაც კვინტილიანუსი მოხსენიებულია, როგორც კაცი კალაგურისელი (Quintilianus ex Hispania Calagurritanus, Helm 1956: 190); 2. ავსონიუსის პირველ ლექსს ბორდოს პროფესორების ხსოვნისადმი, სადაც ნათქვამია, რომ კალაგურისი ამაყობს, რომ კვინტილიანუსი მისი კურსდამთავრებული იყო (პროფ. 1.7). თუმცა, ლორენცო ვალა კამათობდა 1493 წელს, რომ მისი აზრით, კვინტილიანუსი დაიბადა რომში, პირველი იმიტომ, რომ მარციალისი არ ახსენებს კვინტილიანუსს პოემაში, რომელიც აღნიშნავს ზოგიერთ ცნობილ მწერალს ესპანეთიდან (1.61), მაშინ როცა ის სხვაგან ახსენებს მას, როგორც ცნობილ რომაელ მასწავლებელს და ორატორს (2.90; ვალა ციტირებს ამ პოემის პირველ ორ სტრიქონს); მეორე იმიტომ, რომ კვინტილიანუსი ამბობს, ის იცნობდა დომიტიუს აფერსა და სენეკას, ორ მამაკაცს, რომლებიც ნერონის მეფობის დროს დაიღუპნენ, როდესაც კვინტილიანუსი იყო *adulescentulus* (ახალგაზრდა კაცი) (5.7.7 და 8.3.31), თუმცა სინამდვილეში კვინტილიანუსი საკუთარ თავს უწოდებს *iuvēnis admodum* (ძალიან ახალგაზრდას) 8.3.31 და მესამე იმიტომ, რომ სენეკა უფროსი თავის ნაშრომში *Declamationes* ამბობს, რომ ვინც ძალიან აქტიურობდა რომში პირველი ათწლეულების განმავლობაში, ახსენებდნენ Quintilianus senex-ს (მოხუც კვინტილიანუსს, Sen. Contr. 10, pr. 2; მისი ხუმრობა ნახსენებია კონტრ. 10.4.19-ში), რომელიც, ვალას მიხედვით, იყო კვინტილიანუსის ბაბუა.

ანტონიომ (1696: 53) უარყო ეს არგუმენტები, მაგრამ ორი წლის შემდეგ დოდველი დაუბრუნდა იმ აზრს, რომ კვინტილიანუსი, შესაძლოა, რომში იყოს დაბადებული. მას სჯეროდა, რომ კვინტილიანუსს უწოდეს კალიგურიტანელი არა იმიტომ, რომ იქ დაიბადა, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრობდა და მუშაობდა იქ 61 წლიდან 68 წლამდე (Dodwell 1698: 92–94).

დოდველის რწმენა ემყარება იერონიმეს ჩანაწერს, რომელიც თარიღდება 68 წლით, როცა გალბამ კვინტილიანუსი რომში ჩაიყვანა (M. Fabius Quintilianus Romam a Galba perducitur, Helm 1956: 186) და მისი ვარაუდია, რომ კვინტილიანუსი გალბას შეუერთდა ესპანეთის გუბერნატორის მისიის შესრულების დროს, რაც რვა წელი გაგრძელდა. დოდველის შემდეგ, გედოინმა (Gédoyn 1718: 108) მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ კვინტილიანუსი იყო რომაელი. ის ამტკიცებს, სხვა საკითხებთან ერთად, რომ თუ ვინმე აღიარებს, რომ კვინტილიანუსი იყო წარმოშობით ესპანელი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მან დაივიწყა მშობლიური ენა, რადგან უცხო სიტყვების მონაკვეთში აღნიშნავს, რომ მას უთხრეს სიტყვა *gurdus*-ს აქვს ესპანური წარმოშობა (1.5.57; Gédoyn 1718: 54; Colson 1924: 12 n.). როლინმა დაბადების ადგილთან დაკავშირებული მოსაზრებები მოგვიანებით საეჭვოდ ჩათვალა (Rollin 1741: 77).

კვინტილიანუსის დაბადების ადგილის საკითხი კვლავ განიხილეს მიულერმა (1840: 4–6), ჰამელმა (1843: 11–13) და დრაიზენმა (1845: 4–7). ყველამ დაასკვნა, რომ კვინტილიანუსი დაიბადა კალაგურისში და ადრეულ ასაკში ჩამოიყვანეს რომში. ეს მოსაზრება, რომელსაც არ ეთანხმება ზოგიერთი მკვლევარი (შდრ.: Schwabe 1909), მას შემდეგ ჭარბობს, რაც გამჟღავნდა მოიპოვა ვოლსინიის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი და მან მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ კვინტილიანუსი წარმოშობით იტალიელი იყო (Gamurrini 1904); ხოლო კოლსონი თვლიდა, რომ კვინტილიანუსმა ადრეული ცხოვრება მთლიანად ესპანეთში გაატარა (Colson 1924: 9–13).

კვინტილიანუსის დაბადების თარიღის დადგენისას, რა თქმა უნდა, შეეცადათ, გამოგვეყენებინა თავად კვინტილიანუსის რამდენიმე ცნობა „მჭევრმეტყველების სწავლებიდან“. 10.1.24-ში იგი აღნიშნავს, რომ როდესაც ბიჭი იყო (*nobis pueris*), გაიუს სალუსტიუს კრისპუსის და სხვების თვალსაჩინო დაცვა იყო ძალიან ცნობილი. კრისპუსი გარდაიცვალა 49 წელს, იუვენალისის შესახებ სქოლიონის მიხედვით (Schol. Vet. in Juv. Sat. 4.81). კვინტილიანუსი ასევე ახსენებს დომიტიუს აფერს, რომელიც მაშინ მოხუცი კაცი იყო (5.7.7, შდრ. 12.11.3, სადაც ამბობს, რომ აფერი გვიან ნახა, სიბერეში).

ცნობილია, რომ დომიტიუს აფერი გარდაიცვალა 59/60 წელს (Tac. Ann. 14.19). 6.1.14-ში კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ მოსამართლე კოსუტიანუს კაპიტოს შენიშვნა, რომელიც მან მოისმინა მოზარდობისას, გულისხმობდა, ალბათ, სასამართლო პროცესს 57 ან 58 წლებში, რომელშიც კოსუტიანუსი გასამართლეს შანტაჟისთვის (Tac. Ann. 13.33). თუმცა, კოსუტიანუსი უკვე აქტიური იყო, როგორც მოსამართლე 47 წელს (Tac. Ann. 11.6.5) და კვინტილიანუსს, შესაძლოა, მოესმინა მისთვის

სასამართლო პროცესამდე, რომელშიც იგი ბრალდებული იყო.

სხვა პასაჟში კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ როდესაც ის ახალგაზრდა იყო, სენეკასა და პომპონიუს სეკუნდუსს შორის გაიმართა დისკუსია იმის შესახებ, ფრაზა *gradus eliminat* იყო თუ არა გამოყენებული ტრაგედიებში (8.3.31). ვარაუდობენ, რომ ეს დისკუსია შეიძლება შედგა სენეკას გადასახლებიდან დაბრუნებისას - 50 წელს ან ცოტა ხნის შემდეგ.

ამრიგად, კვინტილიანუსი საკუთარ თავს მონაცვლეობით უწოდებს *puer*, *adulescentulus* და *iuvenis* ორმოციანი წლების დასასრულს და 60-ში. შესაბამისად, კვინტილიანუსის დაბადების თარიღად სახელდება სრულიად სხვადასხვა რიცხვები, კერძოდ: დაახლოებით 42 წელს, ან უფრო ადრე (Dodwell 1698: 69– 87); დაახლოებით 38 ან უფრო ადრე (Hummel 1843: 10); 35 წელს ან დაახლოებით (Driesen 1845: 2–4; Peterson 1891: 3–4) და დაახლოებით 30 წელს (Cousin 1931: 68; Cousin 1975: 15). თუმცა, ყველა თანხმდება იმაში, რომ კვინტილიანუსი რომში იმყოფებოდა ორმოციანი წლების ბოლოდან მაინც.

როგორი იყო კვინტილიანუსის მასწავლებლობის კარიერა? „მჭევრმეტყველების სწავლების“ რამდენიმე პასაჟი აჩვენებს, რომ კვინტილიანუსი იმყოფებოდა რომში ორმოციანი წლების ბოლოსა და 59/60 წლებს შორის; რომ მან რომი დატოვა გარკვეული დროით, დაახლოებით 59/60 ან სულ ცოტა მოგვიანებით, რადგან ეს ჩანს შენიშვიდან 68 წლით დათარიღებულ იერონიმეს „ქრონიკაში“: იმ წელს რომში კვინტილიანუსი მიიყვანა გალბამ (Fabius Quintilianus Romam a Galba perducitur).

გალბა ესპანეთის გუბერნატორი იყო Tarraconensis-ში რვა წლის განმავლობაში და დაბრუნდა რომში 68 წლის ბოლოს, ვარაუდობენ, ნერონის სიკვდილის შემდეგ. იერონიმეს ჩვენების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ კვინტილიანუსი ასოცირდებოდა გალბასთან, გარკვეულწილად, 68 წელს, მაგრამ ამის შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. ეს ჩვენება ცენტრალურ როლს თამაშობს მეცნიერთა სპეკულაციებში კვინტილიანუსის რომში ყოფნა/არყოფნის ხანგრძლივობის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ეს ასევე არის გადამწყვეტი ჩვენება კვინტილიანუსის, როგორც მასწავლებლის კარიერის თარიღების შესახებ დისკუსიებში, კარიერისა, რომელიც ოცი წელი გაგრძელდა, როგორც თავად კვინტილიანუსი ამბობს (1. pr. 1).

დოდველმა ჩათვალა, რომ კვინტილიანუსი გალბას პროტექე იყო და ამიტომ შეუერთდა მას მისი რვაწლიანი მისიისას, როგორც ესპანეთის გუბერნატორს, 60/61 წლებში (დოდველი 1698: 92).

ჰამელმა გააპროტესტა ეს მოსაზრება და თქვა, რომ კვინტილიანუსმა 57/58 წელს ჩატარებული სასამართლო პროცესების შემდეგ დატოვა მასწავლებლის კარიერა, რაზეც, კვინტილიანუსი, საგარაუდოდ, მიუთითებს 6.1.14-ში და ასევე, აფერის გარდაცვალება 59/60 წლებში, რადგან ჰამელის შეხედულებით, კვინტილიანუსი აუცილებლად ახსენებდა აფერის გარდაცვალებას, რომლითაც იგი შეძრული იყო. ჰამელმა აქვე ვარაუდი გამოთქვა დოდველის შეხედულების საპასუხოდ, რომ გალბა გახდა კვინტილიანუსის მფარველი ესპანეთში ყოფნის დროს (1843: 19–20). სულ ერთია, შეიძლება ასეც იყოს, არავის არასოდეს ეპარებოდა ეჭვი, რომ კვინტილიანუსმა რომი დატოვა და მისი არყოფნა რომში გაგრძელდა რვა-ათი წელი.

რაც შეეხება კვინტილიანუსის მიერ რომის დატოვების მიზეზს, ვარაუდობენ, რომ იგი მშობლიურ პროვინციაში დაბრუნდა მასწავლებლად და ორატორად, რადგან მიხვდა, რომ მისი კარიერის შესაძლებლობები რომში მცირე იყო (Hummel 1843: 20; შდრ. Driesen 1845: 10). 1.2-ში მოყვანილი ავსონიუსის ჩვენება შეიძლება გულისხმობდეს, რომ კვინტილიანუსი მუშაობდა მასწავლებლად და ორატორად კალაჰორაში (თუმცა, მეცნიერთა უმეტესობა არ ემხრობა ამ მოსაზრებას. შვაბე ვარაუდობს, რომ შესაძლოა, იგი დასახლდა პროვინციის დედაქალაქ ტარაკოში, რომელიც დიდად აყვავებული იყო ავგუსტუსის დროიდან, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენ გვაკლია ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ წავიდა კვინტილიანუსი ესპანეთში, სადაც ადრე ცხოვრობდა და იქ რას აკეთებდა. ასევე გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა დაბრუნდეს რომში, თუ მას არ ჰქონდა რაიმე მონაწილეობა მიღებული გალბას გეგმებში, რომში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან არ იყო სხვაგვარად ერთგული მის მიმართ (1909: 1848).

იერონიმეს ჩანაწერი 68 წელს არის ასევე მთავარი ჩვენება თარიღების დადგენის მცდელობებისას კვინტილიანუსის მასწავლებლად მოღვაწეობის თვალსაზრისით. კვინტილიანუსის მიხედვით, ის ასწავლიდა ოცი წლის განმავლობაში და იერონიმეს ჩანაწერით, როგორც წინაპირობით, დოუველმა დაასკვნა, რომ კვინტილიანუსმა დაიწყო მასწავლებლობა რომში დაბრუნებისთანავე და დაასრულა იქვე, 88 წელს (Dodwell 1698: 98–99). თავისი მოსაზრების დასადასტურებლად, მან

მოიშველია იერონიმეს სხვა ჩანაწერი კვინტილიანუსზე 88 წელს. ამ ჩანაწერის ტექსტი მკვლევრებს საეჭვოდ ეჩვენებათ.

უმეტეს ხელნაწერებში, როგორც, მაგალითად, კასიოდორიუსის ტექსტში, ნათქვამია: კვინტილიანუსი, კაცი კალაგურისელი ესპანეთში, იყო პირველი მასწავლებელი რომში, რომელმაც მიიღო საჯარო სკოლა და ხელფასი ხაზინიდან და ის ცნობილი გახდა “Quintilianus ex Hispania Calagurritanus primus Romae publicam scholam et salarium e fisco accepit et claruit (1865: 1230). მეთექვსმეტე საუკუნეში ჯ. სკალიგერმა (Scaliger გამოქვეყნების თარიღი არ არის: 203) ასე შეცვალა ტექსტი: კვინტილიანუსი, კაცი ესპანეთის კალაგურისიდან, იყო პირველი მასწავლებელი რომში, რომელმაც გახსნა საჯარო სკოლა, ხელფასი მიიღო ხაზინიდან და გახდა ცნობილი.

მისი აზრით, კვინტილიანუსის მიერ ნახსენები ოცი წელი (1 pr. 1) დაიწყება არა კვინტილიანუსის რომში დაბრუნების შემდეგ, არამედ ესპანეთში ჩასვლის შემდეგ, რაც უნდა იყოს, ჰამელის თანახმად, 59 წელს, დომიტიუს აფერის გარდაცვალებამდე. ჰამელმა ივარაუდა, რომ კვინტილიანუსი ესპანეთში დაბრუნდა მასწავლებლად და ორატორად, რადგან მიხვდა, რომ მისი კარიერის შესაძლებლობები რომში მცირე იყო. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, კვინტილიანუსმა სწავლება 79 წელს დაასრულა, რამდენადაც არ არსებობს დამადასტურებელი ჩვენება, რომ კვინტილიანუსი 79 წლის შემდეგაც აქტიური მასწავლებელი იყო.

ჰამელის მიერ 79 წლამდე თარიღდება პლინიუს უმცროსის სწავლა კვინტილიანუსთან (Hamell 1843: 25–26). მეცნიერები თვლიან, რომ როგორც დოდველის, ასევე ჰამელის ქრონოლოგია არის სპეკულაციური და უნდა დავასკვნათ, რომ შეუძლებელია ზუსტად განსაზღვროს კვინტილიანუსის, როგორც მასწავლებლის ოცწლიანი კარიერის თარიღები.

კვინტილიანუსი რეგულარულად მოიხსენიებს სტუდენტებს, რომლებსაც ასწავლიდა წლების განმავლობაში (მაგ. 1 pr. 7, 3.6.68, 10.3.32), მაგრამ ის არასოდეს ახსენებს მათ სახელებს. კვინტილიანუსის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი მოსწავლე იყო პლინიუს უმცროსი, რომელიც აღნიშნავს, რომ კვინტილიანუსი მისი დამრიგებელი იყო (Ep. 2.14.9) და რომ ის ესწრებოდა მის დისკურსებს (6.6.3).

საუკუნეების განმავლობაში, იუვენალისის ჩვენებები კვინტილიანუსის შესახებ (Sat. 6.75, 280, 7.186, 189) ზედმეტად იქნა ინტერპრეტირებული, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ის თავად კვინტილიანუსის მოსწავლე იყო (Poliziano 1498: 1289; Friedländer 1895: 292), თუმცა, თვლიან, რომ სატირა 6.75 შეიძლება მართლაც ეხებოდეს კვინტილიანუსის სასკოლო პრაქტიკას და 7.186–189-ში იუვენალისი ახსენებს მის მაღალ ჰონორარს, თუმცა კაზინი მაინც აღნიშნავს, რომ იუვენალისი, შესაძლოა, იყო კვინტილიანუსის მოსწავლე და ამტკიცებს, ოღონდ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, რომ ტაციტუსი ნამდვილად მისი მოსწავლე იყო (Cousin 1975: 22).

კვინტილიანუსი აღნიშნავს თავისი ტრაქტატის მეოთხე წიგნის წინასიტყვაობაში, რომ როდესაც პენსიაზე გავიდა, დომიტიუსმა მას მიანდო თავისი დის შვილიშვილების განათლება (4 pr. 2; შდრ. 6 pr. 1). ესენი იყვნენ ფლავია დომიტილას და ფლავიუს კლემენსის ვაჟები, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს დომიტიუსის კონსულობის დასრულებამდე (Suet. Dom. 15).

ხშირად აღუნიშნავთ, სწორედ ამ კლემენსმა, ჯილდოდ კვინტილიანუსის შვილების მეურვეობისთვის, მიანიჭა მას საკონსულო ნიშნები, როგორც საპატიო წოდება და არა როგორც სიმბოლო ფაქტობრივი ძალისა (Aus. Grat. act. 7), სინამდვილეში კი, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებულია რაიმე ფორმით (Kraus 1909: 1850). დოდველი ამტკიცებს, რომ კვინტილიანუსმა მიიღო საკონსულო ნიშნები არა დომიტიანუსის დროს, არამედ, მხოლოდ მოგვიანებით, ჰადრიანუსის დროს, სხვაგვარად უცნობი კლემენსისგან (Dodwell 1698: 146–154; შდრ.: Gesner 1738: 13–15).

საჯარო სკოლასა და სახელმწიფო ხელფასზე იერონიმეს ჩანაწერი კვინტილიანუსის შესახებ 88 წელს შეიცავს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომ კვინტილიანუსის სკოლა სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული და რომ ის ხელფასს იღებდა ხაზინიდან. დოდველი და კიდევ რამდენიმე მეცნიერი ამ ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ კვინტილიანუსი იყო ბენეფიციარი მთელი მისი კარიერის განმავლობაში.

ტილემონტი, რომლის ნაშრომი გამოიცა დოდველამდე შვიდი წლით ადრე, იყო პირველი მეცნიერი, ვინც დაუკავშირა იერონიმეს ჩვენებას სვეტონიუსის მტკიცება, რომ ვესპასიანუსი იყო პირველი იმპერატორი, რომელმაც დააარსა ყოველწლიური ასი ათასი სესტერცის ხელფასი ლათინური და ბერძნული რიტორიკის მასწავლებლებისთვის. მას ეთანხმებიან როლინი და გესნერი (Tillemont 1691: 114; Rollin 1715: 78; Gesner 1738: 8), თუმცა, კვინტილიანუსის ამ ორ ჩვენებას შორის კავშირი პრობლემურია, რადგან სვეტონიუსი არც ისე მკაფიოდ ახსენებს კვინტილიანუსს, როგორც ხელფასის ბენეფიციარს. უფრო მეტიც, გაუგებარია, იყო თუ არა აღნიშნული თანხა თითოეულ მასწავლებელზე,

თუ ყველა მასწავლებელზე ერთად (Kraus 2014: 128–129). გარდა ამისა, ვესპასიანუსის საზომი თარიღდება არა 68 წლით, როდესაც კვინტილიანუსმა დაიწყო კარიერა დოდველის მიხედვით, არამედ 71 წლიდან (Zonaras 65.12). და ბოლოს, ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს სარგებლობდნენ მჭევრმეტყველების მასწავლებლები ამ ხელფასით, ამრიგად, უსაფუძვლოა იერონიმესა და სვეტონიუსის ჩვენებების საფუძველზე იმის თქმა, რომ კვინტილიანუსის სკოლა სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული ოცი წლის განმავლობაში.

მოუხედავად ამისა, გედოინმა კიდევ უფრო შეაღამაზა ეს ზედმეტი ინტერპრეტაცია იმით, რომ რომაელებმა თითქოს დაიქირავეს კვინტილიანუსი მჭევრმეტყველების სწავლებისთვის, რადგან ისინი ძალიან მაღლიერნი იყვნენ მისი მჭევრმეტყველებით და ლიტერატურული გემოვნებით (Gedoyne 1718: cir). როლინი კი ამბობს, რომ კვინტილიანუსი რიტორიკის კათედრაზე იყო ოცი წლის განმავლობაში და თითქოს სვეტონიუსმა თქვა, რომ ვესპასიანუსმა დააარსა რიტორიკის კათედრა და გადასცა იგი კვინტილიანუსს (Quintilien remplit la chaire de Rhétorique pendant vingt ans, avec un applaudissement général, Rollin 1741: 79).

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას მის შეხედულებას, რომ კვინტილიანუსი იმყოფებოდა სამთავრობო სამსახურში, დოდველი ადარებს კვინტილიანუსის პენსიაზე გასვლას ოცი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ საპატიო განთავისუფლებას (Dodwell 1698: 102). სხვა მეცნიერებიც ამტკიცებენ, რომ სწორედ იმპერატორმა მისცა კვინტილიანუსს პენსიაზე გასვლის ნებართვა მასწავლებლად ოცწლიანი სამსახურის შემდეგ (Tillemont 1691: 114; Antonio 1696: 54; Rollin 1740: 79).

მტკიცება, რომ კვინტილიანუსს ჰქონდა პროფესორის თანამდებობა, ანუ კათედრაც, გაიმეორეს სხვა მეცნიერებმაც (Friedländer 1871: 274; Bernhardt 1872: 856; Syme 1958: 88; Clarke 1967: 30–31; Kraus 2014: 126), მაგრამ, ამკარად, ასეთი შეხედულება არ დასტურდება წყაროებით. იერონიმეს 88 წლის შენიშვნისა და ვესპასიანუსის შესახებ სვეტონიუსის ჩვენების საფუძველზე შეიძლება მხოლოდ იმის მტკიცება, რომ კვინტილიანუსი, სავარაუდოდ, იყო ვესპასიანუსის მიერ 71 წელს დადგენილი წლიური ხელფასის ბენეფიციარი, მაგრამ უცნობია, როდის დაიწყო მისი მიღება, რამდენ ხანს იღებდა, იყო თუ არა ერთადერთი ორატორი, ვინც ეს თანხა მიიღო, რამდენი ხნის განმავლობაში იღებდა, რას ნიშნავდა ეს მისი სკოლის სტატუსისთვის. ჩვენებებით მარციალისისგან (2.90) და იუვენალისისგან (6.75, 279–280, 7.186–189) ვარაუდობენ, რომ ის იყო მდიდარი, ცნობილი და დიდად პატივცემული ადამიანი. იუვენალისი აღნიშნავს, რომ სტუდენტის მომზადების მისმა საფასურმა შეადგინა ორიათასი სესტერსი.

რამდენიმე სიტყვა ორატორის კარიერაზე. კვინტილიანუსი არა მხოლოდ რიტორიკის მასწავლებელი იყო; ის, ასევე, თავად იყო მოქმედი ორატორი და დეკლამატორი. ჩვენ არ ვიცით, როდის დაიწყო მუშაობა სასამართლოებში, მაგრამ ამის დასკვნა შეიძლება 2.12.12-ის მიხედვით, სადაც ნათქვამია, რომ მან მიატოვა იგი თავის სწავლებასთან ერთად.

მთელი რიგი ავტობიოგრაფიული შენიშვნებით გვრჩება შთაბეჭდილება მისი მოღვაწეობის, უნარების და მისი, როგორც ორატორის წარმატებაზე, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეიძლება დათარიღდეს ზუსტად. „მჭევრმეტყველების სწავლების“ 4.2.86-ში ის იხსენებს, რომ საქმის გარკვევა, ჩვეულებრივ, მას ეკისრებოდა; 6.2.25-ში ხაზს უსვამს, რომ მისი განხილვა ემოციების აგზნებაზე ეფუძნება საკუთარ გამოცდილებას; 7.1-ში ის იწყებს მსჯელობას იურიდიულში კითხვების დაყოფის მეთოდების შესახებ საქმეების იმის ახსნით, თუ როგორ ქმნიდა სასამართლო საქმეების სამმართველოს (7.3 და სხვა); 9.2.73-ში განიხილავს მის მიერ ფიგურების გამოყენებას საქმეში, როდესაც ის იცავდა ქალს, რომელიც ბრალდებული იყო იმაში, რომ გააყალბა ქმრის ანდერძი და 11.2.39 -ში აღნიშნავს, რომ მისი მეხსიერება არც თუ ისე ძლიერი იყო. 9.2.73-ში, აღნიშნული შემთხვევის გარდა, კვინტილიანუსი მიუთითებს საქმეზე, რომელშიც მან ისაუბრა ებრაელი დედოფლის, ბერენიკეს სახელით და რომელიც უნდა მომხდარიყო 75 და 79 წლებში, როდესაც დედოფალი ბერენიკე ცხოვრობდა რომში.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელშიც რომაელი ავტორი მონაწილეობდა, მოხსენიებულია 6.1.39-ში, სადაც მოკლედ საუბრობს მის გამოსვლაზე უცნობი მამაკაცის, ნევიუს არპინიანუსის საქმეზე, კაცს ბრალი ედებოდა ცოლის ფანჯრიდან გადაგდებაში (7.2.24). ეს იყო ერთადერთი გამოსვლა, რომელიც კვინტილიანუსმა თავად გამოაქვეყნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა, მისივე სიტყვებით, ახალგაზრდული ლტოლვა დიდებისკენ (iuvenali cupiditate gloriae). ამავე პასაჟში ის აღნიშნავს, რომ მისი სახელით სხვა გამოსვლები ვრცელდებოდა, რომლებშიც სინამდვილის წილი ცოტა იყო. ეს ადგილები დაზიანებულია სტენოგრაფების დაუდევრობით. სავარაუდოდ, ის აქ საუბრობს მისი კარიერის შემდგომ გამოსვლებზე, როდესაც მას პატივს სცემდნენ და უკვე იყო ცნობილი ორატორი.

საბოლოოდ, 2.12.12-ში ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კვინტილიანუსმა დაასრულა სასამართლოებში საჯარო გამოსვლის კარიერა მასწავლებლად მოღვაწეობის პარალელურად. როგორც ზემოთ ვნახეთ, დოდველი და სხვები კი ამტკიცებენ, რომ არა მხოლოდ კვინტილიანუსის მასწავლებლის პენსიაზე გასვლა, არამედ საჯარო კარიერიდან მისი გამოსვლაც მოხდა იმპერატორის მიერ ოფიციალური განთავისუფლების გამო (შდრ. Dodwell 1698: 102; Tillemont 1691: 114; Antonio 1696: 54).

როგორ გაატარა კვინტილიანუსმა ბოლო წლები? De causis corruptae eloquentiae

(მჭევრმეტყველების გადაგვარების მიზეზების შესახებ) და De institutio oratoria-მჭევრმეტყველების სწავლებაში, როგორც ვნახეთ, შეუძლებელია კვინტილიანუსის პენსიაზე გასვლის თარიღის დადგენა მასწავლებლობისა და ორატორობის ოცწლიანი კარიერის გასრულების შემდეგ. თუმცა, უსაფრთხოა ვივარაუდოთ, რომ სიბერით დასუსტებული პენსიაზე კარგა ხნით ადრე გავიდა და მოტივაცია განაპირობა იმან, რომ იყო პროდუქტიული, როგორც მწერალი და მრჩეველი ახალგაზრდებისთვის, როგორც მან მოგვიანებით სხვებს ურჩია (12.11.4 და შდრ. 2.12.12, სადაც ამბობს, რომ მან შეწყვიტა სასამართლოში მუშაობა მაშინ, როცა ის კვლავ მოთხოვნადი იყო).

პენსიაზე გასვლის შემდეგ, კვინტილიანუსი წერდა და აქვეყნებდა. გარდა მჭევრმეტყველების სწავლებისა, დაწერა ნაშრომი სახელწოდებით De causis corruptae eloquentiae (დასახელებულია შემდეგ ნაწილებში: 6 pr. 3 და 8.6.76, და შესაძლოა, მოხსენიებული იყოს სათაურის აღნიშვნის გარეშე - 5.12.23, 2.4.42 და 8.3.58).

მე-6 წიგნის წინასიტყვაობაში კვინტილიანუსი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ დაკარგა მთელი ოჯახი, სანამ თვითონ ჯერ კიდევ კარგად იყო. მისი ცოლი პირველი გარდაიცვალა, ცხრამეტი წლისა (6.pr. 5), მალევე მიჰყვა მისი უმცროსი ვაჟი, ხუთი წლის (6.6-9). უფროსი ვაჟი გარდაიცვალა ათი წლის ასაკში, რვა თვის ავადმყოფობის შემდეგ (6 pr. 10-13). ამ აზნაუცებში კვინტილიანუსი თავისუფლებას აძლევს თავისი სიყვარულისა და ერთგულების გამოხატვას, მის ცოლ-შვილზე დარდს, მის მწუხარებას მათი სიკვდილის გამო და ჩივილს საკუთარ ბედზე.

ემოციური მწერლობის ეს პასაჟი დღეს განიხილება, როგორც ემოციების შესახებ წიგნის სათანადო შესავალი (Russel 2001: 3); როგორც საუკეთესო წარმართული სათნოების სრულყოფილი გამოხატულება (Rollin 1740: 83) და როგორც მწუხარების გადაჭარბებული გამოხატულება (Tillemont 1691: 114). კვლევისას შეგვხვდა მოსაზრებები, რომ მან მეორედ იქორწინა და შეეძინა ქალიშვილი, მაგრამ ვერ მოვიძიეთ ამის მყარად დამადასტურებელი არგუმენტები და არ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ საკითხზე უფრო მეტად შეგვეჩერებინა ყურადღება.

თუ De causis corruptae eloquentiae არის 2.4.42-ში ნახსენები ნაშრომი, როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დასრულდა მანამ, სანამ კვინტილიანუსი თავისი ცნობილი ტრაქტატის წერას დაიწყებდა. დოდველის ქრონოლოგიის მიხედვით, კვინტილიანუსმა ის დაწერა 89-90 წლებში (Dodwell 1698: 187); როიტერი, კვინტილიანუსის დაკარგული ნამუშევრის შესახებ დეტალური კვლევის ავტორი, რომელმაც გამოითვალა ბიოგრაფიული მინიშნებები მე-6 წიგნის წინასიტყვაობაში და ვარაუდო, რომ „მჭევრმეტყველება“ დაიწერა 93 და 94 წლებში, ფიქრობს, რომ De causis corruptae eloquentiae უნდა იყოს დაწერილი 87 და 89 წლებში (Reuter 1887: 50-51).

მეთექვსმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე იყო მწვავე დებატები იმის შესახებ, იყო თუ არა ტაციტუსის Dialogus de oratoribus-ში მოხსენიებული დაკარგული შრომა ტრაქტატი De causis corruptae eloquentiae ნამდვილად კვინტილიანუსის (Shulze 1788: 21-26).

პერიოდი, რომელშიც „მჭევრმეტყველების სწავლება“ დაიწერა, სხვადასხვაგვარად იქნა შეფასებული, რასაც თავად კვინტილიანუსი ჰყვება. ის თავდაპირველად დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მეგობრების თხოვნას, დაეწერა მჭევრმეტყველების თეორიაზე (1 pr. 1), ხოლო ტრაქტატის მეორე წიგნში აღნიშნავს, რომ მისი მასწავლებლობისა და ორატორობის მოღვაწეობის დრო სხვადასხვაა 2.12.12). როდესაც მან საბოლოოდ დაიწყო ტრაქტატზე მუშაობა, ეს გააკეთა არა მხოლოდ მეგობრების სურვილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იმიტომ, რომ რიტორიკის შესახებ ორი წიგნი ვრცელდებოდა მისი სახელით, რომელიც მან თავად არ გამოაქვეყნა ან არ შექმნა ამ მიზნით (1 pr. 1, 3, 7). ნაშრომი შეიცავს შვიდ წინასიტყვაობას, რომელთაგან სამი ეძღვნება კვინტილიანუსის მეგობარს M. Vitorius Marcellus-ს (წიგნები 1, 4 და 6), ხოლო წინასიტყვაობას წიგნებისა 5, 7, 8 და 12-ს არ ჰყავს ადრესატი.

წერილში მისი გამომცემლის, ტრიფოსადმი, რომელიც წინ უძღვის „მჭევრმეტყველების სწავლების“ ტექსტს, კვინტილიანუსი მიანიშნებს, რომ მას ორ წელზე ცოტა მეტი დრო დასჭირდა, დაეწერა ეს ტრაქტატი და რომ მან გადაწყვიტა, გარკვეული ხნით განზე გადგომა, სანამ არ დამორჩილდა ტრიფოს დაჟინებულ თხოვნას მისი გამოქვეყნების შესახებ.

ყოველთვის ითვლებოდა, რომ „მჭევრმეტყველების სწავლება“ გამოქვეყნდა დომიტიანუსის იმპერატორობის დროს, მაგრამ გედოინი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ანონიმ მკვლევარს ეგონა, რომ იგი გამოიცა ტრაიანუსის დროს (Gédoyn 1718). თავად გედოინი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ეს ასე ყოფილიყო, რადგან ტრაქტატში კვინტილიანუსის ბევრი მაამებელი გამონათქვამი სწორედ დომიტიანუსს ეკუთვნის (3.7.9, 4 პრ. 2, 10.1.91-92) და რომ „მჭევრმეტყველების სწავლება“ უნდა გამოცემულიყო 97-98 წლებში.

როდის გარდაიცვალა კვინტილიანუსი? უცნობია, როდის გარდაიცვალა კვინტილიანუსი. არაფერია ცნობილი კვინტილიანუსის შესახებ დომიტიანუსის სიკვდილის შემდეგ (Rollin 1715: 85; Cousin 1931: 76). სავარაუდოა, რომ იგი გარდაიცვალა ტრაიანუსის დროს (Gédoyn 1718), რომ არაფერია ცნობილი ასევე მას შემდეგ, რაც კვინტილიანუსმა დაასრულა „მჭევრმეტყველების სწავლება“ და მიიღო

საკონსულო ნიშნები, სავარაუდოდ, 93 წელს (Muller 1840: 24). პლინიუსის მოგონებები მისი ყოფილი მასწავლებლის შესახებ 6.6 და 2.14 წერილებში, რომლებიც დათარიღებულია მის მიერ 97–100 და 105 წლებით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის იმ დროისთვის გარდაცვლილი იყო (შდრ.: Klark 1967: 34).

ასეთი იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუს, ახ.წ. პირველი საუკუნის რომაელი ავტორი, რომლის იდეები სწავლების მეთოდები დღემდე აქტუალურია, რაც კვლავდაკვლავ გვახსენებს მისსავე სიტყვებს: *Nihil sub sole novum* /არაფერია მზის ქვეშ ახალი.

ლიტერატურა

1. Antonio, N. 1696. *Bibliotheca Hispana vetus, sive Hispanorum, qui usquam unquamve scripto aliquid consignaverunt, notitia*. Vol. 1. Rome.
2. Bergomensis, J.P. 1485. *Supplementum Chronicarum*. Brescia.
3. Bernhardt, G. 1872. *Grundriss der Römischen Literatur*. Fünfte Bearbeitung. Braunschweig
4. Clarke M.L (1967) *Quintilian: a biographical sketch*, Vol. 14, No. 1.
5. Colson, F.H. 1924. *M. Fabii Quintiliani Institutionis oratoriae Liber 1*. Edited with introduction and commentary. Cambridge (reprint, 2014).
6. Cousin J. (1936). *Etudes sur Quintilien*, Paris (En deux parties: presentation livre par livre; presentation par themes).
7. Gesner, I.M. 1738. *M. Fabii Quintiliani de institutione oratoria libri duodecim collatione codicis Gothani et Iensoniae editionis*, Göttingen.
8. Hummel, E. 1843. *Quintiliani vita*. Göttingen.
9. Kerr, R.A. 2002. *Criticism in Quintilian*. PhD diss. Glasgow.
10. Kraus, Manfred. "Exercitationes, Progymnasmata [Exercises for Text Composition]." *Rhetorik und Stilistik: Ein Internationales Handbuch Historischer und Systematischer Forschung [An International Handbook of Historical and Systematic Research]*. Vol. 2. Eds. Ulla Fix, Andreas Gardt, Joachim Knape. Berlin: Walter de Gruyter, 2009. 1396–1405. Print.
11. Leiden, 3–41. Kennedy, G.A. 1998. 'Quintilian on Retirement'. In *Quintiliano: Historia y actualidad de la retórica*, vol. 1, edited by T. Albaladejo et al. Longroño.
12. Müller, F. 1840. *Quaestiones Quintilianeae*. Halle.
13. Peterson, W. (ed) (1891) *M. Fabii Quintiliani Institutionis Oratoriae Liber Decimus* (with commentary), Oxford: Clarendon Press.
14. Rollin, C. 1715. *M. Fabii Quintiliani Institutionum Oratoriarum libri duodecim. Ad usum scholarum accommodati, recis quae minus necessaria visa sunt, et brevibus notius illustrati*. Paris. Rollin, C. 1740. *Histoire ancienne des Egyptiens, des Carthaginois, des Assyriens*. Tome sixième. Paris.
15. Steel, C. 2006. *Roman Oratory*. Cambridge. Street, A. 1987. 'The Rhetorico-Musical Structure of the "Goldberg" Variations: Bach's "ClavierÜbung" IV and the "Institutio Oratoria" of Quintilian'.

Nihil sub Sole Novum /here is nothing new under the sun **Marcus Fabius Quintilianus**

Ketevan Futkaradze

Abstract

At the end of the first century, the Roman Marcus Fabius Quintilianus wrote a treatise called *Institutio Oratoria*, which was translated into Georgian as "The Teaching of Oratory". The work was written by Quintilian in order to create an ideal model of a person in general and an eloquent in particular, which, according to the Roman author, implies an excellent orator and an even better, honest person, which, according to Quintilian, sounds like this: *Vir bonus, dicendi peritus* - He is a good man, he speaks well. When you get acquainted with the work, you realize how much you have to learn to be a good person and how much more you have to add to become a good orator, that is, to allow yourself to speak to people in public. In fact, the book is not about eloquence, or rather, not only about eloquence, but about education and the upbringing of a good citizen, and the issues of education and upbringing are always relevant and of great interest in every era, in every type of society. In the article, we tried to study the biography of this interesting author.